| | თითოეული საკლასო ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით.<br>სკოლას ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია და წყალი მიეწოდება საქალაქო ქსელიდან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• ინტერვიუები<br>• კომუნალური გადასახადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ბიბლიოთეკა არის შენობის მეორე სართულზე, მას ემსახურება ორი ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკაში არის მკითხველთა ფორმულარები, წიგნები დალაგებულია ანბანური და სისტემური კატალოგის მიხედვით. წიგნების საინვენტარო ჟურნალის მიხედვით ბიბლიოთეკაში არის სულ 3505, მათ შორის სასკოლო სახელმძღვანელო - 638, ბიბლიოთეკაშია: მხატვრული და საბავშვო ლიტერატურა, წიგნები ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებზე. ასევე ბიბლიოთეკაშია ვიდეო რესურსები, ჟურნალ-გაზეთები, მეთოდური ლიტერატურა და სხვა. ბიბლიოთეკაშია ყველა კლასის და ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების კომპლექტები, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• ბიბლიოთეკის დებულება<br>• ბიბლიოთეკის კატალოგი<br>• შესყიდვის დოკუმენტაცია |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იმ კატეგორიისთვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას სასწავლო პროცესში შეუფერხებელი ჩართვის მიზნით სკოლის შენობის ყველა სართულებზე არის სანიტარული კვანძები გოგონებისათვის და ვაჟებისათვის, სადაც არის ერთი ადაპტირებული სველი წერტილი ეტლით მოსარგებლისათვის.<br>შენობაში შესასვლელად მოწყობილია პანდუსი. ეტლიან მოსწავლეს შეზღუდვების გარეშე შეუძლია ისარგებლოს 1 და 2 სართულით, სადაც შექმნილია სწავლისათვის ყველა აუცილებელი პირობა. ვიზიტის პერიოდში სკოლაში არ ყავდათ ამ კატეგორიის მოსწავლეები. სკოლის ადმინისტრაცია გეგმავს ლიფტის დამონტაჟებას, რის შემდეგ ამ კატეგორიის მოსწავლეები შეძლებენ ისარგებლონ მესამე და მეოთხე სართულით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმებით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. კერძოდ 28 კომპიუტერი, რომლებიდანაც 18 განთავსებულია კომპიუტერულ კლასში, 6 კომპიუტერი ადმინისტრაციის გამოყენებაშია (დირექტორი, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ბიღალტერი, დაცვა, ბიბლიოთეკა). ასევე სკოლაში საგაკვეთილო პროცესისათვის არის 10 ლეპტოპი, 4 კომპიუტერი, ორი სმარტ დაფა, 17 პროექტორი (რომლების უმრავლესობა დამონტაჟებულია საკლასო ოთახში). მთლიანად სასწავლო პროცესისათვის გამოყენებულია 32 კომპიუტერი. ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში. მთელ სკოლის ტერიტორიზე შესაძლებელია უკაბელო ინტერნეტით სარგებლობა. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იგეგმება მეორე კომპიუტერული ლაბორატორის აღჭურვილობა. ვიზიტის პერიოდში სრულდებოდა ამ ლაბორატორიის სარემონტო სამუშაოები. სკოლას აქვს ვებგვერდი tis.ge, რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. ამავე მიზნებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს facebook-ის შესაბამის გვერდს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• გასაუბრების შედეგები;<br>• შესყიდვების ხელშეკრულებები<br>• საგადასახადო ანგარიშფაქტურები და ზედნადებები<br>• საინვენტარიზაციო აღრიცხვის ჟურნალი<br>• ვებ გვერდი: tis.ge<br>• სკოლის facebook-ის გვერდი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შენობაში დამონტაჟებულია ხანძრის (კვამლის) აღმოჩენის დეტექტორები. ყველა სართულზე არის შსს საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ გაკეთებული საევაკუაციო გეგმა და ყველა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სართულზე არის საჭირო რაოდენობის ცეცხლმაქრები (ვიზიტის პერიოდში სკოლაში იყო 19 ცეცხმაქრი, ადმინისტრაციამ შეიძინა კიდევ სამი. მთელ შენობაში გეგმის შესაბამისად საჭიროა 21 ცალი, 1 ცეცხლმაქრი იქნება დასაწყობებული).<br>სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, (ბრძანება N84, 27.12.2019). სკოლას აქვს „სამედიცინო დახმარების და საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ნუსხა“ (ბრძანება N66, 05.09.2019). სკოლას 2020 წლის 9 მარტს დადებული აქვს 1 წლის ვადით ხელშეკრულება დაცვის სამსახურთან შპს „ინტერსექიურითი - ჯორჯია“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მომსახურეობაზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• შესყიდვების ხელშეკრულებები<br>• საგადასახადო ანგარიშფაქტურები და ზედნადებები<br>• საინვენტარიზაციო აღრიცხვის ჟურნალი |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილას, გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომლებიც შესაბამისობაშია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• შესყიდვების ხელშეკრულებები<br>• საინვენტარიზაციო აღრიცხვის ჟურნალი |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას ჰყავს ექიმი და მისთვის გამოყოფილი ექიმის კაბინეტი. კაბინეტში განთავსებულია აუცილებელი ინვენტარი: მაგიდა და სკამი; პაციენტის გასასინჯი ტახტი; მედიკამენტების კარადა და სხვა აუცილებელი რესურსი. ყველა მედიკამენტი დაცულია. არის |

| | |
|---|---|
| | შექმნილი ყველა აუცილებელი პირობა პირველადი დახმარების გასაწევად.<br>სკოლაში არის „სამედიცინო დახმარების და საგანგებო სიტუა-ციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ნუსხა" (ბრძანება N66, 05.09.2019). ბრძანებით გაწერილია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• შესყიდვების ხელშეკრულებები<br>• საგადასახადო ანგარიშფაქტურები და ზედნადებები<br>• საინვენტარიზაციო აღრიცხვის ჟურნალი |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში (მესამე და მეცხრე თავი) |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას აქვს ერთი ძირითადი შესასვლელი, სადაც ორი გარე კამერაა დამონტაჟებული (კამერები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათა- |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეო მეთვალ-ყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზ-ღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტა-ჟება-ექსპლუატაციის წესებს. გარე პერიმეტრს ასევე აკონტრო-ლებს კიდევ 6 კამერა. სკოლის შიდა პერიმეტრს აკონტროლებს 31 კამერა. სკოლას დამატებით შეძენილი აქვს 20 კამერა (მე-4 სართულისათვის) და შესაბამისი აქსესუარები, რომელიც მიწოდებული იქნება უახლოვესს დღეებში. დამატებით შეძენილი, ვიდეომეთვალყურეობის სისტემის საერთო ღირებულება შეადგენს 9164 ლარს. სკოლამ გადაურიცხა შპს „კამერა პლიუსს“ 8164 ლარი.<br>**იხ. დანართი N7.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• შესყიდვების ხელშეკრულებები<br>• საგადასახადო ანგარიშფაქტურები და ზედნადებები<br>• **დანართი N7** - კამერების შესყიდვისა და მონტაჟის ხელშეკრულება და საგადასახადო დავალება (4 ფურცლად) |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს წესდება, შინაგანაწესი, დებულება და საქმიანობის დაგეგმ-ვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუ-მენტები (ბიბლიოთეკის დებულება, ხარისხის მართვის სამსა-ხურის უზრუნველყოფის მექანიზმები, სამედიცინო სამსახურის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დებულება და სხვა, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება დაწე-სებულების საქმიანობისა დაგეგმვა და წარმართვა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • წესდება,<br>• შინაგანაწესი,<br>• სკოლის დებულება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების (ექვსწლიანი 2016-2022 წლების) გეგმა, რომლის პრეამბულაშიც ჩაწერილია, რომ „სტრატეგიული გეგმა მოიცავს 2016-2022 წლებს. სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. შპს ,,თბილისის საერთასორისო სკოლის'' ძირითადი მიზნები და ამოცანებია:<br>1. სკოლის მმართველობითი საქმიანობის გაუმჯობესება. მისი სტრუქტურის ოპტიმიზაცია და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მოწესრიგება;<br>2. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზება;<br>3. სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება;<br>4. სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით.<br>5. თვითშეფასების სისტემის ჩამოყალიბება;<br>6. უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 7. მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში;<br>8. სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება.<br>მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზების მიზნით, სკოლაში:<br>1. შეიქმნება, დაიხვეწება და განვითარდება საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემა;<br>2. პერიოდულად დაიხვეწება სკოლის ვებ-გვერდი და განხორციელდება მისი მუდმივი განახლება, დაიბეჭდება სკოლის საინფორმაციო-სარეკლამო ბუკლეტები და ბანერი;<br>3. განახლდება მოსწავლეთა და მასწავლებელთა მონაცე-მების ელექტრონული ბაზა;<br>4. განხორციელდება სკოლის საქმისწარმოებასთან დაკავში-რებული ყველა ტიპის ინფორმაციის ელექტრონული ვერსიების შექმნა და დაარქივება;<br>5. მოხდება სკოლის მონაცემთა ბაზის ელექტრონულ ფორ-მატში ორგანიზება;<br>2019 წლის 5 სექტემბრის N72 სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შპს ,,თბილისის საერთაშორისო სკოლის'' 2019-2020 წლის განვითარების გეგმა, რომელიც გამომდინარეობს ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. მასში შეჯერებულია სასკოლო საზოგადოების დირექციის, მასწავლებ-ლებისა და მოსწავლეების მოსაზრებები და საჭიროებები. კონკრეტულ აქტივობებს, ახდენს ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს განხორციელების ვადებს.<br>სკოლის განვითარების სტრატეგია და სკოლის 2019-2020 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა სკოლის განვითარების ექვსწლიანი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სამოქმედო გეგმის მიზნებიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სტრატეგიული განვითარების 6 წლიანი გეგმა<br>• ერთწლიანი სამოქმედო გეგმა<br>• SWOT ანალიზი |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი. დაწესებულება აწარმოებს შემდეგი სახის დოკუმენტაციის აღრიცხვას:<br>1. შემოსული კორესპონდენცია;<br>2. გასული კორესპონდენცია;<br>3. საკადრო ბრძანებები;<br>4. საერთო ბრძანებები;<br>5. შრომითი ხელშეკრულებები;<br>6. პედსაბჭოს ოქმები;<br>7. ანბანური წიგნი.<br>გარდა ამისა არის თანამშრომლებთან და მოსწავლის მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალები. ჟურნალები აკინძული, ბეჭედდასმული და დანომრილია |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შემოსული კორესპონდენციის წიგნი<br>• გასული კორესპონდენციის წიგნი<br>• საკადრო ბრძანებების წიგნი<br>• საერთო ბრძანებების წიგნი<br>• შრომითი ხელშეკრულების აღრიცხვის ჟურნალი<br>• პედსაბჭოს ოქმების წიგნი<br>• ანბანური წიგნი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ავტორიზაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ შპს „თბილისის საერთაშორისო სკოლაში“ სკოლის დირექტორის, 2019 წლის 5 სექტემბრის ბრძანება #72 -ით დამტკიცებული სკოლის საშტატო განრიგის მიხედვით, სკოლაში გათვალისწინებულია 85 საშტატო ერთეული 21 პოზიციაზე: მასწავლებელი - 50; საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელი - 7; დირექტორი -1; დირექტორის მოადგილე - 2; ბიბლიოთეკარი -2; იურისტი -1; ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი -1; დირექტორის მრჩეველი- 1; ექიმი/ექთანი -1; ფსიქოლოგი -1; ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი - 1; ინკლუზიური განათლების კოორდინატორი -1; ბუღალტერი - 1; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საქმისმწარმოებელი -1; კვების უზრუნველყოფის მენეჯერი -3; დაცვასა და უსაფრთხოებაზ9ე პასუხისმგებელი პირი - 3; დასუფთავებაზე და სანიტარული ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი -3; საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი -1; ფინანსური მენეჯერი - 1; ფინანსური მენეჯერის თანაშემწე - 1; დარაჯი - 2.<br>მოცემული მომენტისთვის სკოლაში არის 36 მასწავლებელი და 2 მასწავლებლის თანაშემწე. სკოლას კიდევ რამდენიმე მასწავლებლის აყვანას აპირებს.<br>მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მასწავლებელთა რაოდენობა;<br>სკოლას ჰყავს შესაბამისი ადამიანური რესურსი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სახით; |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | საშტატო განრიგი; **იხ. დანართი N 8 (3 ფურცლად);**<br>პირადი საქმეები;<br>საათობრივი ბადე;<br>ხელშეკრულებები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 36 |
| მოწვეული/მამიებელი | 5 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 8 |
| უფროსი მასწავლებლი | 22 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| წამყვანი მასწავლებლი | 1 |
| მენტორის სტატუსი | 0 |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მასწავლებლების ნაწილი შერჩეულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.<br>სკოლაში მუშაობს 36 მასწავლებელი. 31 მასწავლებელი ჩართულია მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. მათგან 8 მასწავლებელი პრაქტიკოსია, 22 - უფროსი, 1 - წამყვანი.<br>ჭადრაკის მასწავლებელი არ არის ჩართული სქემაში. მას აქვს ჭადრაკის სწავლების კომპეტენცია. (ჭადრაკის დიდოსტატი).<br>ასევე სქემაში არ არის ჩართული დაწყებითი კლასების მასწავლებელი, რუსუდან მარგიანი. სკოლაში არის ასევე 3 მაძიებელი მასწავლებელი, რომელთა შერჩევაც არ მომხდარა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს ბრძანება #174/ნ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად.<br>ამასთან, მაძიებლები დასაქმებულნი არ არიან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 16 აგვისტოს №169/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციის და მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის გავლის წესისა და მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ნიმუშისა და გაცემის წესის დაცვით.<br>მიუხედავად ამისა, სკოლას ზემოთაღნიშნული წესების დაცვით აქვს გამოცხადებული ახალი ვაკანსიები და სკოლაში ვიზიტისას, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დოკუმენტების შესაბამისობაში მოყვანაც დაიწყეს. ანუ სკოლა ამჟამად წესების დაცვით მუშაობს.<br>საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ განმარტავს, რომ მასწავლებელი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არ აქვს ნასამართლობა.<br>ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა.<br>მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებულთა პირად საქმეებში იდო ცნობები ნასამართლობის შესახებ, შინაგანაწესი მკაფიოდ არ განსაზღვრავს ზემოთ დასახელებულ მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, სასურველია, რომ ეს საკითხი შინაგანაწესით იყოს დარეგულირებული. ვიზიტის განმავლობაში სკოლამ აღნიშნული საკითხის მოგვარება დაიწყო. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | EMIS-ის მონაცემთა ბაზა დაწესებულებაში დასაქმებული პედაგოგების შესახებ;<br>მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>შინაგანაწესი;<br>ხელშეკრულება; **იხ. დანართი N9 (5 ფურცლად) და იხ. N10 (5 ფურცლად);**<br>ბრძანება; **იხ. დანართი N11 (1 ფურცლად);**<br>http://teacherjobs.ge/; |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში მოქმედებს პერსონალის სამსახურში მიღების წესი, რომელიც განსაზღვრავს თანამდებობაზე დასანიშნ პირთა მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესს.<br>შინაგანაწესი მკაფიოდ განსაზღვრავს დასაქმებულ პირთა დისციპლინურ გადაცდომათა ნუსხას და შესაბამის დისციპლინურ სახდელებს, აგრეთვე წახალისების ფორმებს.<br>სკოლის შინაგანაწესში გაწერილია შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | შინაგანაწესი;<br>პერსონალის სამსახურში მიღების წესი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები და თითოეულ მათგანზე გახსნილია პირადი საქმე. ხელშეკრულებები აღრიცხულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში. ხელშეკრულებები დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად, თუმცა ეს წესი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ,,საქმისწარმოების ერთიანი წესების" დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ, 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულებასთან. სკოლაში ვიზიტისას აღნიშნულ ხარვეზზე მუშაობა დაიწყეს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | პირადი საქმე;<br>რეგისტრაციის ჟურნალი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საქმისწარმოების წესი; **იხ. დანართი N12 (8 ფურცლად).**<br>ხელშეკრულებები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. შემუშავებულია კითხვარები. მიმდინარეობს მასწავლებლების მუშაობის მონიტორინგი და ხდება მათი საჭიროებების იდენტიფიცირება.<br>სკოლა 2015 წლიდან ჩართულია მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. წინა ავტორიზაციისას, სკოლაში იყო 24 პრაქტიკოსი მასწავლებელი და მხოლოდ 10 უფროსი, ახლა კი ბალანსი შეცვლილია და ამჟამად სკოლაში არის 22 უფროსი და 8 პრაქტიკოსი მასწავლებელი. აქტიურად მუშაობენ საგნობრივი კათედრები. სკოლაში დანერგილია ურთიერთდასწრების, რეფლექსიისა და კონსტრუქციული უკუკავშირის გაცემის კულტურა. სკოლა ზრუნავს პროფესიულ განვითარებაზე.<br>სკოლაში არსებობს უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ბრძანება სკოლის შიდა შეფასების ჯგუფის შექმნის შესახებ; შეფასების ჯგუფის წევრების (მათ შორის ფასილიტატორის) არჩევა უნდა დასტურდებოდეს კათედრების შესაბამისი ოქმებით და პედაგოგიური საბჭოს ოქმით;<br>სკოლას გააჩნია შიდა მონიტორინგის დოკუმენტი, რომლის მიხედვით პერიოდულად ამოწმებს შიდა შეფასების ჯგუფის მუშაობასა და შიდა შეფასების პროცესს; |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ინტერვიუს შედეგები;<br>კათედრის სამუშაო გეგმები და ანგარიშები;<br>პედ. საბჭოს ანგარიშები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 2015 წლის 18 სექტემბრის წერილი #4-373 ; **იხ. დანართი N13 (1 ფურცლად);**<br>ბრძანება სკოლის შიდა შეფასების ჯგუფის შექმნის შესახებ;<br>შიდა მონიტორინგის დოკუმენტი;<br>სამოქმედო გეგმის ანგარიში. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | *სკოლის ადმინისტრაციას აქვს ხედვა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუქმნას თანამშრომლობითი გარემო, გათვალისწინებული აქვთ სივრცეები მოსწავლეთა დამოუკიდებელი და საკლუბო მუშაობისთვის. ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენას.*<br>სკოლაში მოქმედებს დაცულობის, კეთილგანწყობის, პასუხისმგებლობების გადანაწილების და ასევე უფლება-მოვალეობების დელეგირების სიტემა. სკოლის დებულებაში გაწერილია თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობები;<br>*სკოლა ხშირად გეგმავს სპორტულ, აღმზრდელობით ღონისძიებებს და ექსკურსიებს, რომლებშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი - მოსწავლე, მშობელი და მასწავლებელი. სკოლაში ტარდება* მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების პრევენციული ღონისძიებები; სკოლა ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრებას; ხდება მოსწავლეთა მიღწევების აღიარება; გამოიკვეთა სასკოლო პროექტებსა და სხვა ღონისძიებებში სხვადასხვა კლასების მოსწავლეთა ერთობლივი მონაწილეობა.<br>*სასკოლო საზოგადოების სამივე სეგმენტთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლაში არის დაცულობისა და* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | *კეთილგანწყობის ატმოსფერო. ინტერვიუებიდან ასევე გაირკვა, რომ* მოსწავლეებისადმი, მასწავლებლებისა და მშობლებისადმი სკოლის დირექციის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, ხელს უწყობს თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | სკოლის დებულება;<br>სასკოლო პროექტებისა და სხვა ღონისძიებების ანგარიშები და შესაბამისი ფოტომასალა;<br>სასკოლო კლუბების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია და ფოტომასალა;<br>ინტერვიუები, დაკვირვება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | სკოლაში მასწავლებლების შერჩევის პროცედურები გაიწეროს და განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; |
| რჩევები: | |
| ხარვეზები: | სკოლაში მასწავლებელთა შერჩევის პროცედურები. |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

................თბილისი............ .........30.06.2020............

(შევსების ადგილი) (თარიღი)

გვერდების რაოდენობა:

39 გვერდი დასკვნა;
55 გვერდი დანართი;

სულ - 94 გვერდი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.